საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№116/26

2022 წელი, 31 იანვარი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის მიხეილ დაუშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/108; 07.09.2021) საქართველოს კანონის პროექტების განხილვის ვადა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტებს, 2022 წლის 14 თებერვლიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ 30 დღით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი